

შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31.12.2021 ლარი	31.12.2020 ლარი	31.12.2019 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1 648 236	2 016 211	1 041 198
არამატერიალური აქტივები	5	824 510	569 825	16 825
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	6	4 297 627	2 140 127	981 815
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 770 374	4 726 163	2 039 838
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10 500	94 750	1 630
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		3 073 981	215 147	16 290
სხვა მიმდინარე აქტივები	8	2 892 345	6 329 727	1 109 893
სულ მოკლევადიანი აქტივები		5 976 826	6 639 624	1 127 813
სულ აქტივები		12 747 200	11 365 787	3 167 652
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		396 579	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	5 554 743	10 510 411	1 793 718
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 951 322	10 510 411	1 793 718
სულ ვალდებულებები		5 951 322	10 510 411	1 793 718
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1 059 680	1 000 000	-
გაუნაწილებელი მოგება		5 736 198	(144 624)	1 373 934
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		6 795 878	855 376	1 373 934
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		12 747 200	11 365 787	3 167 652

შპს სფრინგ კონსტრაქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი



შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

კონსოლიდირებული მოგება -ზარალის ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
ამონაგები	10	14 344 929	2 052 048
ამონაგების თვითღირებულება		(3 475 845)	(1 545 011)
საერთო მოგება		10 869 084	507 037
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(4 988 875)	(2 008 964)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
ფინანსური შემოსავალი / ხარჯი		-	-
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		613	(16 631)
მოგება დაბეგვრამდე		5 880 822	(1 518 557)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		5 880 822	(1 518 557)

შპს სფრინგ კონსტრაქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი



შპს „სფრინგ კონსტრუქშენი“

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	გადაფასების რეზერვი ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2019	-	1 373 934	-	1 373 934
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1 000 000	-	-	1 000 000
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(1 518 557)	-	(1 518 557)
ნაშთი - 31.12.2020	1 000 000	(144 624)	-	855 376
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	59 680	-	-	59 680
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	5 880 822	-	5 880 822
ნაშთი - 31.12.2021	1 059 680	5 736 198	-	6 795 878

შპს სფრინგ კონსტრუქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი



შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სფრინგ კონსტრაქშენი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 18/02/2011). კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის გლდანის რაიონში, ილორის ქ., N 5 ბ. 30 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა (ასაწყობი კონსტრუქციების მონტაჟი და დაყენება სამშენებლო მოედნებზე, რემონტი, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია).

კომპანიის დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი (პ.ნ. 01004000797)

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიში მოიცავს შპს ქართული ნუში ს/კ 438184421 ინდივიდუალური ანგარიშგების ფინანსურ მონაცემებს. ჯგუფის შექმნის თარიღია 22 დეკემბერი 2020 წელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება ან/და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება

ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარის პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16 290	81 317	(65 027)	კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	264 728	283 994	(19 265)	კორექტირება
სხვა	379 186	382 837	(3 651)	კორექტირება
სხვა მოკლევადიანი აქტივები	465 979	399 766	66 213	კორექტირება
საიჯარო ვალდებულება	-	271	(271)	რეკლასიფიკაცია
სავაჭრო ვალდებულებები	8 159	15 010	(6 852)	კორექტირება
სხვა ვალდებულებები	1 785 559	1 777 922	7 637	კორექტირება

	კორექტირებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	215 147	776 972	(561 825)	კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	522 774	682 137	(159 363)	კორექტირება
სხვა	3 437 432	3 442 327	(4 896)	კორექტირება
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2 369 522	1 689 357	680 165	კორექტირება
სავაჭრო ვალდებულებები	20 731	67 190	(46 459)	კორექტირება
სხვა ვალდებულებები	10 489 680	10 586 807	(97 127)	კორექტირება
გაყიდვების თვითღირებულება	(1 545 011)	(631 242)	(913 769)	კორექტირება
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 736 407)	(2 152 477)	416 070	კორექტირება
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(71)	(618 633)	618 562	კორექტირება
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(7 750)	(6 800)	(950)	კორექტირება

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობა	შენობა ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები
პერიოდი 01/01/2019	25 000	137 801	492 571	689	76 550	120 200
შემოსვლა	-	45 445	205 217	-	92 661	65 000
ცვეთა	-	-	(87 937)	(361)	(29 766)	(32 820)
ჩამოწერა	-	-	-	-	(8 253)	(60 800)
პერიოდი 31/12/2019	25 000	183 246	609 851	328	131 192	91 580
პერიოდი 01/01/2020	25 000	183 246	609 851	328	131 192	91 580
შემოსვლა	526 100	71 439	500 000	-	48 653	-
ცვეთა	-	-	(105 256)	-	(30 318)	(20 469)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(15 137)
პერიოდი 31/12/2020	551 100	254 685	1 004 595	328	149 528	55 974
პერიოდი 01/01/2021	551 100	254 685	1 004 595	328	149 528	55 974
შემოსვლა	513 650	-	-	18 880	5 753	16 000
ცვეთა	-	-	(111 161)	(1 703)	(41 025)	(20 476)
ჩამოწერა	-	(254 685)	(493 205)	-	-	-
პერიოდი 31/12/2021	1 064 750	-	400 228	17 504	114 256	51 498

5. არამატერიალური აქტივები

პერიოდი 01/01/2019	5 350
შეძენა	11 475
ჩამოწერა	-
პერიოდი 31/12/2019	16 825
პერიოდი 01/01/2020	16 825
შეძენა	553 000
ჩამოწერა	-
პერიოდი 31/12/2020	569 825
პერიოდი 01/01/2021	569 825
შეძენა	254 685
ჩამოწერა	-
პერიოდი 31/12/2021	824 510

6. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

	2021	2020	2019
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	4 297 627	2 140 127	981 815
სულ	4297627	2140127	981815

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020	2019
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	10 500	94 750	1 630
სულ	10500	94750	1630

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	2021	2020	2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	356 484	522 774	264 728
საგადასახადო აქტივი	-	118 170	24 813
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1 621 195	3 437 432	379 186
მისაღები პროცენტები	-	107 600	107 600
გაცემული სესხები	60 000	-	-
სხვა აქტივები	854 667	2 143 752	333 566
სულ	2892345	6329727	1109893

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2021	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	39 059	20 731	8 159
მიღებული ავანსები	5 388 280	10 369 296	1 752 587
სხვა ვალდებულებები	127 404	120 384	32 972
სულ	5 554 743	10 510 411	1 793 718

10. ამონაგები

	2021	2020
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან - 18%-იანი ბრუნვა	14 344 929	2 037 748
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან - ნულოვანი ბრუნვა	-	14 300
სულ	14 344 929	2 052 048

11. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2 196 822)	(1 736 407)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(174 366)	(156 043)
იჯარის ხარჯი	(9 945)	(116 443)
სხვა ხარჯი	(2 607 742)	(71)
სულ	(4 988 875)	(2 008 964)

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 26 სექტემბერს.

შპს სფრინგ კონსტრაქშენი-ს
დირექტორი: გიორგი ღვინიაშვილი

